

გაკვეთილი 6

საქართველოს საგადასახადო

კოდექსი

გამოქვეითებო და ზარალეზი

თავი XV გამოქვეითები და ზარალი მუხლი 105. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები

1. ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვეითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოქვეითვას არ ექვემდებარება.
2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა ხარჯი დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული.
3. ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯები გამოიქვეითება ეტაპობრივად, ამორტიზაციის ანარიცხების სახით, გარდა გადასახადის გადამხდელის მიერ საამორტიზაციო ანარიცხების სრული გამოქვეითვის უფლების გამოყენების შემთხვევისა.
4. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვეითოს:
 - ა) მისთვის საქონლის/მომსახურების მიწოდების (მათ შორის, უსასყიდლოდ) შედეგად წარმოშობილი, ამ კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, იმ საანგარიშო წელს, როდესაც ეს საქონელი/მომსახურება გამოყენებული იქნება ეკონომიკურ საქმიანობაში;
 - ბ) რეკლამის მიზნით, უსასყიდლოდ გავრცელებულ, დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლების მქონე საქონელზე დარიცხული დღგ-ის თანხა, თუ ამ ოპერაციაზე არ არის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5. საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, განსაზღვროს:
 - ა) ცალკეული შემთხვევები, როდესაც ხარჯის დოკუმენტურად დადასტურება სავალდებულო არ არის;
 - ბ) დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ამ კოდექსის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ჩაითვლება ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებად.

საგადასახადო კანონმდებლობა განსაზღვრავს ხარჯების გამოქვეითვის ისეთ პროცედურებს, როგორცაა: შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვეითვა; ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვეითება; პროცენტების გამოქვეითვის შეზღუდვა; იუმედო ვალების გამოქვეითვა; სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საქკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯების გამოქვეითვა; საამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვეითვები ძირითად საშუალებათა მიხედვით; არამატერიალურ აქტივებზე საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვეითვა; ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვეითვა; საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხის გამოქვეითვა; სადაზღვევო შენატანების ხარჯების გამოქვეითვა; გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯების გამოქვეითვა.

ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლებს გარეთ მირებული შემოსავლებისაგან. ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან საქმიანობით მიღებული შემოსავალი, კერძოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები და სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან. ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვეითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან. ეს არ ეხება იმ ხარჯებს, რომლებიც კოდექსის მიხედვით გამოქვეითვას არ ექვემდებარება. ყველა ხარჯი დოკუმენტურ დადასტურებას საჭიროებს. ანუ ყველა ხარჯი პირველადი საგადასახადო დოკუმენტით უნდა იყოს დადასტურებული. ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯები გამოიქვეითება ეტაპობრივად, ამორტიზაციის ანარიცხების სახით.

მუხლი 106. ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვითება

ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება:

- ა) ის ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ;
- ბ)გართობაზე გაწეული ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახადის გადამხდელი ახორციელებს გართობითი ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობას და ხარჯები გაწეულია ასეთი საქმიანობის ფარგლებში;
- გ) ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან (სამორინეებიდან), აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელფასის შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- თ)ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;
- ი)ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობისა და დამატებით განხორციელებულ საქმიანობას შორის გაუმიჯნავი ხარჯები.

ერთობლივი შემოსავლებიდან არ გამოიქვითება ისეთი ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, თუმცა გამონაკლისის სახით საგადასახადო კანონმდებლობა უშვებს საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხის გამოქვითვას. ანუ ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული თანხა, მაგრამ არა უმეტეს გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა. ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება სხვადასხვა სახის გართობაზე გაწეული ხარჯები. მაგრამ თუ გადასახადის გადამხდელი ახორციელებს გართობითი ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობას და ხარჯებიც სწორედ ამ საქმიანობისთვის არის გაწეული, ისინი ექვემდებარება გამოქვითვას. ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან, სხვადასხვა აზარტული, თუ მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან არ გამოიქვითება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი.

მუხლი 107. პროცენტების გამოქვითვის შეზღუდვა

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან/და გადასახდელი (დარიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით) პროცენტები გამოიქვითება არა უმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად.

კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან გადასახდელი პროცენტები გამოიქვითება არა უმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში შესაბამისი პერიოდის პროპორციულად. კრედიტზე ან სესხზე გადახდილი ან/და გადასახდელი (დარიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით) პროცენტები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკის და რეგისტრირებული მიკრო-საფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემულ სესხებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო

განაკვეთის ოდენობით; სხვა დანარჩენ შემთხვევებში არა უმეტეს წლიური 24 პროცენტისა, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად.

მუხლი 108. უიმედო ვალების გამოქვითვა

1. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, გამოქვითოს რეალიზებულ საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, რომელთა მიხედვით მისაღები შემოსავლები წინა საანგარიშო პერიოდში შეტანილი იყო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში.

2. უიმედო ვალების გამოქვითვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ჩამოწერილია და ასახულია გადასახადის გადამხდელის საბუღალტრო ანგარიშგებაში.

გადასახადის გადამხდელის უფლებას, გამოქვითოს რეალიზებულ საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, რომელთა მიხედვით მისაღები შემოსავლები წინა საანგარიშო პერიოდში შეტანილი იყო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში. იმისათვის რომ მოხდეს უიმედო ვალების გამოქვითვა აუცილებელი დავალიანება იყოს ჩამოწერილი და ასახული გადასახადის გადამხდელის საბუღალტრო ანგარიშგებაში.

უიმედო ვალი არის საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლომდე, ამასთანავე არსებობს ერთერთი შემდეგი დოკუმენტი: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება შესაბამისი პირის მიმართ გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების ან/და რეაბილიტაციის დაწყების შესახებ, ამასთანავე თუ მოსამართლის მიერ ამ კრედიტორის მოთხოვნა არ იქნა აღიარებული; ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით უიმედო ვალი ისეთი დებიტორული დავალიანებაა, რომლის დაფარვის ალბათობა ნულის ტოლია - მყიდველი/მომწოდებელი გაკოტრდა ან კოტრდება, ლიკვიდირებულია, სარჩელის ხანსაზმულობის ვადა გასულია და სხვა. უიმედო ვალი საანგარიშო წლის ბოლოს ფინანსური თვალსაზრისით ექვემდებარება ხარჯად აღიარებას და ჩამოწერას.

მუხლი 109. სარეზერვო ფონდებში გადარიცხვების გამოქვითვა

1. იურიდიული პირს, რომელიც ეწევა ლიცენზირებულ სადაზღვევო საქმიანობას, უფლება აქვს, საანგარიშო წლის ერთობლივ შემოსავლიდან გამოქვითოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით გაანგარიშებული იმავე საანგარიშო პერიოდის "სადაზღვევო/დამდგარი ზარალები, ნეტო".

2. ბანკები და საკრედიტო კავშირები სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას ახორციელებენ კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

3. სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს, საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების ხარჯები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

თუ იურიდიული პირი ეწევა ლიცენზირებულ სადაზღვევო საქმიანობას, ანუ დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მას უფლება აქვს საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან (საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან), შემოსავლის რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების გარდა, გამოქვითოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით გაანგარიშებული იმავე საანგარიშო პერიოდის "სადაზღვევო/დამდგარი ზარალები, ნეტო". "სადაზღვევო/დამდგარი ზარალები, ნეტო" გულისხმობს საქონლის ფასს ფასდათმობის გამოკლებით, შემოსავალს ყველა დანახარჯის გამოკლებით. წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების პირველად შექმნის საანგარიშო პერიოდისთვის ასეთი რეზერვის თანხა მთლიანად გამოიქვითება საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან.

მუხლი 110. სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯების გამოქვითვა

გამოქვითვას ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები, გარდა ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯებისა.

გამოქვითვას ექვემდებარება სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ერთობლივი შემოსავლის მიღებას, გარდა ძირითად საშუალებათა შეძენის სა სხვა კაპიტალიზებადი ხარჯებისა. კაპიტალიზებადი ხარჯები არის ისეთი ხარჯები, რომელთა ღირებულება ემატება (ზრდის) აქტივის (ძირითადი საშუალებების) ღირებულებას. კერძოდ კაპიტალიზებად ხარჯებს განეკუთვნება ძირითადი საშუალების შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟის და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), ასევე სხვა ხარჯები (ზღვრული ოდენობის ზევით გატარებული კაპიტალური რემონტის, რეკონსტრუქციის, პროექტის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების, მშენებლობისთვის ნებართვის მიღების და სხვა ხარჯები), რომლებიც ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით ხარჯებს, ეს არის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებასთან, ასევე კვლევასთან დაკავშირებული მიმდინარე ხარჯები, აგრეთვე დაგეგმილ გამოკვლევებზე გაწეული ხარჯები, რომლებიც განხორციელებულია ახალი სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის მისაღებად.